სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

05 **ივნისი, 2026 წ.**

ბრძანება №01-02/101

„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის №01-02/23 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №06-01/07 დადგენილების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის №06-01/23 დადგენილების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2026 წ.) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 14 იანვრის №06-01/01 დადგენილების, „ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სტრუქტურული რეორგანიზაციის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №07-01/03 გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილებებით დამტკიცებული „ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულების“ (№1 დანართი) და ,,ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულების“ (№2 დანართი) და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 02 ივნისის №654799 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის №01-02/23 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების **პირველი პუნქტი** შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს **შემდეგი რედაქციით:**

„1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით დამტკიცდეს **სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი** შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ბადრი გეჩბაია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, **ჯგუფის ხელმძღვანელი;**

ბ) **მამუკა გოგელია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

გ) **ბესიკ ნარაკიძე** - ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;

დ) **თამარ დუნდუა** - ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;

ე) **გურამ გვარიშვილი** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფინანსური მენეჯერი;

ვ) **ირინე ბერიძე** - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

ზ) **ლევან ტარიელაძე** - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი;

თ) **თამარ მხატვარი** - დამსაქმებელი, ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ხელმძღვანელი, ბათუმის რეფერალური ჰოსპიტლის სამედიცინო დირექტორი;

ი) **თათია სეფერთელაძე** - დამსაქმებელი, ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ხელმძღვანელი;

კ) **ნათია ბურჭულაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ ხელმძღვანელი;

ლ) **ნათია ტაკიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხელმძღვანელი, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

მ) **გიორგი მახარაძე** - ბსუ-ს აგრარული ექსტენციის ცენტრის ხელმძღვანელი, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ნ) **ნათია მაკარაძე** - დამსაქმებელი, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ო) **მზია ბაკურიძე** - დამსაქმებელი, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი.“.

2. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს დაევალოს „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №06-01/07 დადგენილების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“ და იურიდიული ცნობარის ველში ,,რექტორის ბრძანებები“).

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარების სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**